# ფასს 15-ის ძალაში შესვლის თარიღი

© IFRS Foundation

# ფასს 15-ის - *„ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“* - შესწორებები

„გ“ დანართში შეიცვალა გ1 და გ7 პუნქტები. გაუქმებული ტექსტი გადახაზულია, ხოლო ახალი ტექსტი ხაზგასმულია ქვემოდან.

## ძალაში შესვლის თარიღი

გ1. საწარმომ წინამდებარე სტანდარტი უნდა გამოიყენოს ~~2017~~ 2018 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო ამ სტანდარტს უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

## წინამდებარე სტანდარტზე გადასვლა

...

გ7. თუ საწარმო გადაწყვეტს გ3(ბ) პუნქტის შესაბამისად წინამდებარე სტანდარტის რეტროს-პექტულად გამოყენებას, საწარმომ ამ სტანდარტის პირველად გამოყენების კუმულაციური გავლენა უნდა აღიაროს როგორც გაუნაწილებელი მოგების (ან საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტის, საჭიროებისამებრ) საწყისი ნაშთის კორექტირება იმ წლიურ საანგარიშგებო პერიოდში, რომელსაც განეკუთვნება სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღი. ზემოაღნიშნული გადასვლის მიდგომის შესაბამისად, საწარმომ წინამდებარე სტანდარტი რეტროსპექტულად უნდა გამოიყენოს მხოლოდ იმ ხელშეკრულებებთან მიმართებაში, რომლებიც დასრულებული არ იყო სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის (მაგალითად, ~~2017~~ 2018 წლის 1 იანვარი საწარმოსთვის, რომლის საანგარიშგებო პერიოდი მთავრდება 31 დეკემბერს).

 © IFRS Foundation